მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №4

# „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“

14-15 აგვისტოს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის სხდომათა დარბაზში ჩატარდა პროფესორ შოთა ჩართოლანის დაბადების 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები" V.

კონფერენცია ეძღვნებოდა პროფესორ შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

კონფერენცია გახსნა ანსამბლმა ,,რიჰომ", რის შემდეგაც დამსწრე საზოგადოებას მიმართა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორმა, ექსპედიციის ხელმძღვანელმა, თსუ-ს პროფესორმა, ბატონმა ზვიად კვიციანმა.

მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის სახელით სიტყვით გამოვიდა დეკანოზი მამა ბასილი (ფილფანი).

სტუმრებს მიესალმნენ და შოთა ჩართოლანისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ერეკლე საღლიანმა, ირმა ჯაჭვლიანმა.

დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა მოესმინა შოთა

ჩართოლანის ხმის ჩანაწერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ასევე არქეოლოგ ჯუანშერ ამირანაშვილის, ივანე ჯაფარიძის , პროფესორების ვახტანგ ლიჩელის, ვაჟა შუბითიძის, ვახტანგ ჯაფარიძის, ბატონ ლერი ჯიბლაძის, ქალბატონების იზა ჩანტლაძის და ნინო სამსონიას გამოსვლები.

სხდომის მოდერატორები გახლდნენ: პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე, პროფესორი ქეთევან მარგიანი- დადვანი.

*კონფერენციაზე, ირმა ჯაჭვ-ლიანმა გაიხსენა და წაიკითხა შოთა ჩართოლანისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიუძღვნა მას:*

**- როგორც ყოველთვის**
**თქვენ დღესაც ბრწყინავთ**
**და ხასიათსაც**
**ვამჩნევთ მშვენიერს,**
**დიდ პიროვნებას**
**და დიდ მეცნიერს,**
**მინდა გხედავდეთ**
**მუდამ ბედნიერს.**
**თქვენი სიტყვა და**
**თქვენი ცხოვრება**
**ჰიმნივით გვქონდეს**
**უნდა თაობებს,**
**წინაპართ ძვლების**
**გამოცოცხლებით,**
**ისტორიას რომ**
**მუდამ აოცებთ.**
**მსურს ყოველივე**
**ეს აღმოჩენა**
**და ყოველივე**
**თქვენი შრომები,**
**რომ გამოვფინოთ,**
**რომ გამოვფინოთ,**
**როგორც დროშები,**
**როგორც დროშები!**
**მსურს დაგილოცოთ**
**გვარიშვილობა,**
**თქვენი კუთხე და**
**თქვენი სამშობლო,**
**რჩეულო კაცო**
**დიდო მოღვაწევ,**
**ღმერთმა დაგლოცოთ**
**და გადღეგრძელოთ.**

**როგორც ყოველთვის**
**თქვენ დღესაც ბრწყინავთ!!!..**

# სპექტაკლი „ხალდე“

26 აგვისტოს, მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის კულტურის ცენტრში ჩატარდა ნინო სადღობელაშვილის პიესის მიხედვით, გიორგი სიხარულიძის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი ,,ხალდე".

„სპექტაკლი „ხალდე“ საუკუნე-ნახევრის წინ, სვანეთის სოფელ ხალდეში მომხდარ აჯანყებას ეძღვნება. თავისუფალი სვანეთის მოსახლეობა რუსულ იმპერიალიზმს დაუპირისპირდა და თავგანწირვის სწორუპოვარი მაგალითიც აჩვენა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა, ეს მნიშვნელოვანი ეპიზოდი ერის მეხსიერებიდან წაეშალა. სპექტაკლი თანამედროვეობის პერსპექტივიდან წარმოაჩენს ამ ისტორიულ მოვლენას - თავისუფლებისთვის ბრძოლის სამაგალითო ამბავს.

პროექტი განხორციელდა - საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



# ,,ლალხორი-პატრიოტი''

8 აგვისტოს, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმმა მორიგ ღონისძიებას უმასპინძლა, „ლალხორი-პატრიოტი“ გახლავთ სვანეთის კეთილმოსურნეთა გაერთიანება, რომლის უმთავრესი მიზანია ჩვენი სულიერების, ზნეობის, ტრადიციების გადარჩენა, რათა მოხდეს დიდი რუდუნებით მინავლებული ეროვნული ენერგიის და ცნობიერების გამოღვიძება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

შეხვედრის ფარგლებში მოხდა წიგნის („ჟამი შეკრებისა, გვიხმობს ,,ლალხორი“,ავტორი: რომეო ფირცხელიანი) პრეზენტაცია.

შეხვედრას ჰქონდა ინტერაქციის სახე, თითოეულმა მოწვეულმა სტუმარმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება შეხვედრის მთავარი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი მუდამ მზადაა დაუთმოს საკუთარი სივრცე მსგავს ღონისძიებებსა თუ შეხვედრებს, რომელიც ჩვენი კუთხისა და ჩვენი უნიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნება/გადარჩენას უკავშირდება.

# სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამების ახალი სეზონი დაიწყო!

სვანეთის მუზეუმი სკოლის მოსწავლეებს სთავაზობს 50 ძალზე საინტერესო, შემეცნებით, თემატურად უფრო ვრცელ პროგრამას. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ქვემოთ ჩამოთვლილ პროგრამებს, მოისმინონ საინტერესო ლექციები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამით გათვალისწინებულ ნებისმიერი სახის აქტივობაში.

თითოეული პროგრამა მოიცავს ორ ნაწილს: სალექციო კურსსა და პრაქტიკულ, გონების სავარჯიშო/შემეცნებით აქტივობებს. მონაწილეებს გიდის თანხლებით ჩაუტარდებათ ექსკურსია, და გაეცნობიან სვანეთის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გამლფენილ უნიკალურ არტეფაქტებს.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამათა ჩამონათვალი:

- რა არის არქეოლოგია
- სვანეთი და გარესამყარო
- სვანეთი- ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა
- ხალხური რელიგია - სულიერი კულტურა და მსოფლმხედველობა სვანეთში
- რიტუალი და დღეობათა კალენდარი.
- სვანეთი ანტიკურ ხანაში ( ლარილარის სამაროვანი)
- „ერთობილი ხევის, ბედნიერი სვანეთის დროშა „ლემ“
- სვანეთის არქეოლოგიური კვლევა- ძიების ისტორია
- გარე ფასადური და მონუმენტური მხატვრობა სვანეთის ეკლესიებში
- ხელოსნობის დარგები სვანურ ეთნოგრაფიაში
- მართლმადიდებლური სვანეთი და მისი კავშირები ქრისტიანულ სამყაროსთან
- სვანური მუსიკალური ფოლკლორის სინკრეტულობის აღქმა მოზარდებში
- ქართული სამგალობლო სკოლები
- ძველებური სვანური საბავშვო თამაშები
- მუზეუმი, როგორც იდუმალი სამყარო და მისი ადგილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში
- კვირიკობის დღესასწაული სვანეთში და ტერმინი კვირია
- პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი ადიშის ოთხთავი
- ქართული ანბანის ისტორია და მუზეუმში დაცული ხელნაწერები
- მუზეუმში დაცული ხეზე დაწერილი ისტორიული საბუთები
- საკურთხევლის წინამდებარე ჯვრები (ვენეციური ჯვარი)
- ლაბსყალდის ოთხთავი
- სვანეთის მუზეუმში დაცული სტავროთეკები
- ადათობრივ-ჩვეულებითი სამართალი სვანეთში
- ხის ორნამენტის ტრადიცია სვანეთში
- ანალოგიები და ეკლესიაში შესასვლელი კარების მხატვრულად გაფორმების ზოგიერთი თავისებურება სვანეთში.
- სირიული საცეცხლურები მუზუემის კოლექციაში და მათი დანიშნულება ძველ და ახალ აღთქმაში
- ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველტა პოპულარობა სვანეთის კულტურულ-ფერწერულ სკოლაში
- სამწერლობლები - მათი ლიტურგიული და სიმბოლური მნიშვნელობა
- საკურთხევლის წინა ჯვრები - მათი პარალელები და მნიშვნელობა
- დალი (ნად. ქალღმერთი), დალარ, მასთან დაკავშირებული თქმულებები და ლეგენდები
- კირის გამოწვის ტექნოლოგია სვანეთში
- სვანურ-შუმერული პარალელები, ტოპონიმიკა.
- ტურიზმის ისტორია სვანეთში
- პირველი ქართული ფული
- დავით აღმაშენებლის მონეტები სვანეთიდან
- გურჯი ხათუნის სიყვარულის მონეტის საიდუმლო
- რას გვიყვება ერეკლე მეფის მონეტა?
- უცხოური მონეტების მიმოქცევა საქართველოში
- კოლხურა კულტურა სვანეთში
- მეტალურგიული წარმოების განვითარება სვანეთში
- მუზეუმში დაცული მძივები
- ბრინჯაოს არტეფაქტები- კერძოდ, ბრინჯაოს „ცხარჩიტების“ გამოსახულებების ისტორია
- სვანური საცხოვრისი-ქორ, სვანური სახლის კომპლექსი, კოშკი-მაჩვიბი
- სვანი ქალის ვერცხლის სამკაულები (ჩაფრასტი, კებზარი)
- სვანური სახლის ინტერიერის ხის ავეჯი, „ლლგიმ“, „საკარცხული“, „ფირქ“, „ბანდარ“.
- საბრძოლო- თავდაცვითი იარაღი სვანეთის მუზეუმიდან
- სულიერი კულტურის ამსახველი ნივთები არქეოლოგიაში
- სვანური სამხატვრო ხალხური სკოლა
- სვანური მითოლოგია
- ციფრული ტექნოლოგიები და სამუზეუმო საქმიანობა

შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზანია ცნობიერების ამაღლება, მუზეუმის ფასდაუდებელი კოლექციების გაცნობა ახალგაზრდა ნიჭიერი თაობისათვის და მათი დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში ჩატარდება მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენცია. საკონფერენციო თემების სათაურები გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე SVANETIMUSEUM@GMAIL.COM 2022 წლის 1 დეკემბრამდე.

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად და სასურველი დღისა და პროგრამის ასარჩევად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია ნომერებზე:

551 509 409 (ნათია გიგანი- საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი, გიდი პედაგოგი),

568 88- 02 48 მარიამ ჯაფარიძე -ცენტრალური აპარატის უფროსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

ან შემდეგ მეილზე: SVANETIMUSEUM@GMAIL.COM

პროგრამები განკუთვნილია სკოლის ასაკის მოსწავლეთათვის.

ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა: 10-15მოსწავლე

პროგრამის ხანგრძლივობა: 60წუთი

პროგრამაში მონაწილეობის მიღება ამ ეტაპზე უფასოა

დრო: სამშაბათი- პარასკევი 10:00-17:30

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი**

**ავთანდილ იოსელიანის 7**

# მიწის სისტემური რეგისტრაცია

2022-2024 წლების განმავლობაში, მიწის სისტემური რეგისტრაცია ეტაპობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში განხორციელდება (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა). სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, როდესაც სახელმწიფო თავისი ინიციატივით მიდის მოქალაქესთან, აზომავს მიწის ნაკვეთს, მოიძიებს ყველა შესაბამის დოკუმენტს და არეგისტრირებს. ჩვენს შემთხვევაში, ეს მოქალაქისთვის სრულიად უფასო გახლავთ. ერთადერთი, რაც მოქალაქეებმა ამ შემთხვევაში უნდა გააკეთონ, არის ის, რომ საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს დაელოდონ.

სისტემური რეგისტრაციის პროცესი რამდენიმე ფაზისგან შედგება. უპირველესად გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში არსებული დოკუმენტაციის მოძიებას, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, ისტორიული სურათი აღვადგინოთ. მას შემდეგ, რაც აიზომება მიწის ნაკვეთი, ინფორმაცია მუშავდება და საჯაროდ ცხადდება. საჯაროდ გამოცხადების ფაზაში ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ნახონ რა გეოგრაფიული მოხაზულობით და რა სამართლებრივი მოცემულობით რეგისტრირდება კონკრეტული მიწის ნაკვეთი. იმ შემთხვევაში, თუ მათ საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნიათ, შეიძლება ეს იყოს მეზობელი ან სხვა პირი, შეეძლებათ დააფიქსირონ პოზიცია. ამის შემდგომ სააგენტო ამუშავებს მასალას და საბოლოოდ მიწის ნაკვეთი რეგისტრირდება. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში პროცესი დაახლოებით სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობს.

ძალიან გავრცელებული შემთხვევაა, რომ ადამიანები, მათი წინაპრები მიწას ფლობდნენ, სარგებლობენ, ზოგს სახლი აქვს აშენებული, ზოგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს, მაგრამ არავითარი საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთებზე არ აქვთ. ძირითადად, ორი შემთხვევაა - ან რეგისტრირებული არ არის ოფიციალურად, ან საერთოდ არ არსებობს რაიმე საბუთი ან დოკუმენტი. ოდესღაც თვითნებურად დასახლდა წინაპარი, გავიდა წლები, მაგრამ არავითარი უფლება ამ მიწის ნაკვეთზე არ აქვთ. ეს ძალიან ხშირი შემთხვევაა. ასეთი ადამიანებისათვის კარგი ინფორმაცია გვაქვს. დაიწყო სისტემური რეგისტრაცია საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში, რაც გულისხმობს შემდეგს: საჯარო რეესტრის წარმომადგენლები გაწერილი განრიგის მიხედვით, ჩავლენ ადგილზე, აღრიცხავენ მიწებს, საკადასტრო ნახაზებს აიღებენ, დოკუმენტაციას გამოითხოვენ.

ეს კანონმქვემდებარე აქტი ასევე მოქმედებს თვითნებურად დაკავებულ მიწებზე. ეს რა თქმა უნდა, სხვისი საკუთრება არ უნდა იყოს და სხვის საკუთრების უფლებას არ უნდა ხელყოფდეს. საუბარია, როდესაც სახნავ-სათესად იყენებდნენ წინაპრები. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც შენობა იყოს აგებული ამ მიწის ნაკვეთზე. თვითნებურად დაკავებული მიწების შემთხვევაში, როდესაც მათი დაკანონება ხდება, გარკვეული შეზღუდვა არსებობს. მაღალმთიან რეგიონებში ერთ ფიზიკურ პირზე ეს არის მაქსიმუმ 5 ჰექტარი, ხოლო არამაღალმთიან რეგიონებში ეს გახლავთ 1,25 ჰექტარი, რაც შეუძლია ადამიანს, რომ საკუთრებაში დაიკანონოს.

თუკი არანაირი დოკუმენტით არ დგინდება საკუთრება და მფლობელობა აღნიშნულ ნაკვეთზე, მაშინ მეზობლების ჩართვა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოხდება, რომ ნამდვილად დადგინდეს, რომ პირი წლების  განმავლობაში იყენებდა ამ მიწის ნაკვეთს.

სისტემატური რეგისტრაციის ფარგლებში, გაწერილი განრიგის მიხედვით, კონკრეტულ რეგიონში ჩასვლა და ყველა მიწის აღწერა მოხდება. მაგრამ, თუკი მიწის ნაკვეთის მფლობელი მანამდე მიმართავს საჯარო რეესტრს, რომ დაკანონება სურს, მას 300 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის შემთხვევაში, 600 ლარი უნდა გადაიხადოს. ამიტომ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სისტემური რეგისტრაცია დაიწყო. შეუძლიათ, დაელოდონ და ტყუილად არ გადაიხადონ თანხა. ეს პროცესი სულ 2 წელი გრძელდება, 2024 წლის ბოლომდე დასრულდება და თუ აუცილებლობა და საჩქარო არ არის, საჯარო რეესტრის მიერ სრულიად უფასოდ ხდება ამ მომსახურების გაწევა და ადამიანები არც 300 და 600 ლარს იხდიან.

საკადასტრო სამუშაოების დაწყების თანმიმდევრობა განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- რეგისტრირებული ფართობის სიმცირე;
- დასარეგისტრირებელი ნაკვეთების რაოდენობა;
- მოსახლეობის რაოდენობა;
- გეოგრაფიული მდებარეობა;
- კლიმატური პირობები;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე სისტემურ რეგისტრაციას ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს.

**სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:**

- მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია.

2024 წლამდე მუნიციპალიტეტების მიხედვით, ზუსტადაა გაწერილი ის დრო, როცა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები დაიწყება.

**მესტიის მუნიციპალიტეტში აზომვები ჩატარდება შემდეგი განრიგით:**

**2022 წელი — მესტია - ივნისი.**

**2023 წელი — ხაიში - მაისი;**

**იდლიანი - მაისი;**

**ეცერი - ივლისი;**

**უშგული - ივლისი;**

**კალა - ივლისი;**

**წვირმი - ივლისი;**

**იფარი - ივლისი;**

**მულახი - სექტემბერი;**

**ლენჯერი - სექტემბერი;**

**ლატალი - სექტემბერი;**

**ლახამულა - სექტემბერი.**

**2024 წელი — ბეჩო - ივნისი;**

**ცხუმარი - ივნისი;**

**ფარი - ივნისი;**

**ნაკრა - აგვისტო;**

**ჭუბერი - აგვისტო.**

***დამატებითი შეკითხვებისა და ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, შეგიძლიათ მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 2 405 405***

# ნინო ხოჯელანი - ფორმა, რომელსაც აღარ გავიხდი

### ოთხი წლის

ხალხი იძახის ომი დაიწყოო. კი, მაგრამ რა არის ომი? რა ხდება? ან ვინ არიან ის კაცები ერთნაირად რომ აცვიათ? საინტერესოა, ოთხი წლის ბავშვი რას ვფიქრობ, თუმცა ამას, დიდი ალბათობით, ვერც ვერასდროს გავიგებ.

### თოთხმეტი წლის

აქტიური მოსწავლე ვარ და ვცდილობ ყველაფერში ჩავერთო. გაკვეთილზე დირექტორი შემოდის და გვაფრთხილებს, რომ დღეს ინფორმაციული შეხვედრა გვექნება და კარგი იქნება თუ დავესწრებით. არ უთქვამს ვის ვხვდებით, თუმცა მაინც დავთანხმდი, ჩემი რა მიდის? გაკვეთილების ბოლოა, ჩანთა ავიღე და ზარმაცად გავემართე შეხვედრის ოთახსიკენ.

რა ვიცოდი, რომ ეს შეხვედრა მთელ ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა?

ოთახში შევდივარ და ვხედავ ერთნაირად ჩაცმულ კაცებს, თუმცა ახლა ვხვდები თუ ვინ არიან ისინი. მათ დანახვაზე რაღაც ისეთმა გაიღვიძა ჩემში, რაც აქამდე არ განმიცდია.

სიამაყე, სიხარული, პატივისცემა. ყველა გრძნობა ერთამნეთში აირია და მერე დალაგდა.

თითქოს, ის, რაც მაკლდა, ერთიანად მომეცა. ეს გრძელი პროცესი სულ რაღაც წამის მეათედში მოხდა. გაცნობითი შეხვედრა საინტერესოდ გრძელდება. ვსვამ შეკითხვებს და ვიღებ პასუხებს. ყოველი პასუხის შემდეგ უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, თუ რა იქნება ჩემი პროფესია.

სახლში შევედი და ოჯახის წევრებს გამარჯობის ნაცვლად პირდაპირ გამოვუცხადე: „სამხედრო უნდა გამოვიდე“. პირველი მამაჩემს შევხედე. მანაც გამომხედა მშვიდი და აუღელვებელი სახით, რასაც ვერ ვიტყვი დედაჩემზე. ის შემეწინააღმდეგა, ეცადა გადაეფიქრებინა. მამაჩემმა კი არაფერი მითხრა, არადა ყველაზე კარგად ის ხვდებოდა, თუ რა რთულ გზას ვირჩევდი. ის ხომ უკვე ოცდაოთხი წელია საქართველოს საზღვარს იცავს და გამოვლილი აქვს ის, რაც მე უნდა გავიარო მომავალში.

რა თქმა უნდა, თოთხმეტი წლის ბავშვის ასეთ გადაწყვეტილებას არავინ შეხვდა სერიოზულად. მახსოვს ჩემი მეგობრების დამოკიდებულება: ერთმანეთს შეხედავდნენ და ამბოდნენ „ჰო იცი, მაინც გადაიფიქრებს“. ცოტა არ იყოს მწყინდა, თუმცა შემდეგში მოტივაციას მაძლევდა, რომ დამემტკიცებინა ჩემი გადაწყვეტილების სიმყარე.

თვრამეტი წლის უკვე ოთხი წელია ვიცი რაც მინდა. ახლა რას ფიქრობენ ჩემი ოჯახის წევრები? ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან. მხარს მიჭერენ და ჩემს გვერდით არიან. ისინი ძალას მმატებენ, რომ ამ გზას ბოლომდე გავყვე. მამაჩემი მესაუბრა, ამიხსნა თუ რისი გავლა მოგიწევს, რა პრობლემებს უნდა შევეჭიდო მომავალში. ამ ასაკში უკვე კარგად მესმის, თუ რამდენი გამოწვევის წინაშე დამაყენებს ჩემი არჩეული პროფესია. თუმცა წამითაც არ ვფიქრობ, გადაწყვეტილების შეცვლაზე.

ოთხი წლის ბავშვი ვერ ვხვდებოდი, რომ მაშინ რუსებმა მიწები და ძმები წაგვართვეს. წლების მომატებასთან ერთად, უფრო ძლიერ მტკივა ჩემი ქვეყნის ოკუპირებული მიწების საკითხი. მტკივა არნახული ადგილი, რომელიც მხოლოდ უფროსი თაობის მოგონებებში მაქვს ნანახი.

### დღეს

უკვე წარმატებით გავიარე აკადემიის შიდა შესარჩევი ტურები. წინ ერთიანი ეროვნული გამოცდები და საწყისი მომზადების კურსია და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ეტაპსაც წარმატებით გადავლახავ, რადგან ზურგს მიმაგრებენ ჩემი ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები. არ ვიცი რა იქნება მომავლაში, მაგრამ მწამს იმის, რომ ერთ დღესაც ენგურის ხიდთან ვიდგები და ჩემს და-ძმებთან ერთად ფეხს დავდგამ იმ მიწაზე, რომელიც ჩემს გონებაში ზურმუხტისფერია. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში.

P.S. მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ნინო ხოჯელანი უკვე გახდა სამხედრო აკადემიის სტუდენტი. საინფორმაციო გამოშვება „ლილე„-ს სახელით ვულოცავთ სტუდენტობას და ვუსურვებთ წინსვლასა და წარმატებებს. სწორედ ასეთი მიზანდასახული ახალგაზრდები ქმნიან საქართველოს მომავალს.

* * *

**სვანეთში წავალ, კვლავ მეძახიან,**
**წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით:**
**სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,**
**ჩემი მთები და ჩემი ალპები!.**
**ზაფხული პირქუშ მთა-ბარს აჭრელებს,**
**თეთრ ეცერს თოვლი, მითვლიან, გალხვა,**
**მაგრამ მე ეცერს რა გამაჩერებს,**
**სულ მინდა მთელი სვანეთის ნახვა!**
**ცხუმარს და ბეჩოს მინდა ჩარბენა,**
**ჩავუჯდე მახვშებს ულვაშებიანს,**
**უშგულში გავყვე მურზა მარგველანს,**
**თეთნულდის ძირში - გურამ ჩეგიანს!**
**სვანეთში წავალ: კვლავ მეძახიან,**
**წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით:**
**სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,**
**ჩემი მთები და ჩემი ალპები!**
**მინდა ჭუნირის ხმაზე ვგალობდე,**
**სვანური სიმხნე სულში აღვზარდე,**
**მინდა - გავჯიქდე, მინდა - გავლომდე,**
**მინდა - გავსვანდე, მინდა - გავსვანდე!**
**ხალდეს ჭალაში ჯიხვებს ავაფრენ,**
**აღმა შევყვები ჰადიშის ჩრდილებს,**
**სხვას თუ არაფერს, სხვას თუ არაფერს,**
**ორს ხომ ვისწავლი, "ზარსა" და "ლილეს".**
**რომ დასჭირდება ჩემს მამულს, ვიცი,**
**(ფუ, ეშმას! მამულს სწერია ჯვარი!)**
**ვიბარებ: ზვარაკს მშობელი მიწის -**
**"ვოი-ვო!" - მითხრან სვანური ზარი.**
**"ვოი-ვო!" - კვნესა თუ ღრენა ჯიქის!**
**"ვოი-ვო!" - მოდგეს სვანეთის ჯარი!**
**არამიც იყოს "ვოი-ვო!" იგი,**
**თუ მამულისთვის ვერ ვიქენ მკვდარი!**
**ჯერ კი - ცხოვრებას ას წელს ვაპირებ**
**და უფრო მეტად მჭირდება "ლილე".**
**აღმა შევყვები ცისფერ ნაპირებს,**
**კვლავ ვინახულებ ენგურის ჩრდილებს:**
**"ო, ლილე!" - მინდა მზისთვის ვგალობდე,**
**სულში შვილივით სიმხნე გავზარდე:**
**მინდა - გავჯიქდე, მინდა - გავლომდე,**
**მინდა - გავსვანდე, მინდა - გავსვანდე!**

**მურმან ლებანიძე**

# აქტიური საზოგადოება - დემოკრატიის გარანტი

მოგეხსენებათ, რომ ხალხს უფლება აქვს იყოს აქტიური მონაწილე საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში, რადგან მუნიციპალიტეტის გაძლიერება პირდაპირ განსაზღვრავს იქ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას და მომავალს, მითუმეტეს, ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს, რომ მოსახლეობა თავად ირჩევს ადგილობრივ ორგანოებს. საჯარო სამსახური იმისთვის არსებობს, რომ ხალხს ემსახუროს და უკეთესი ყოფითი პირობები შეუქმნას მოსახლეობას.

ბუნებრივია, საჯარო მოხელეები ვერ იმუშავებენ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებთ, თუ მათ ეს ინტერესები არ გამოარკვიეს, ხოლო იმისათვის, რომ განსაზღვრონ მოსახლეობის რეალური საჭიროებები, მნიშვნელოვანია ამ პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართვა როგორც პრობლემების გამოვლენაში, ასევე მათ მოგვარებაშიც.

საზოგადოების საჭიროებებისა და კონკრეტული პრობლემების გამოვლენის სხვადასხვა გზა არსებობს. ყველაზე კარგად მოსახლეობის პრობლემები ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულებმა და დეპუტატებმა იციან. სწორედ მათი მოვალეობაა, რომ თვითმმართველობის ხელმძღვანელობა ყოველთვის იყოს საქმის კურსში. ასევე, მოსახლეობას შეუძლია საჯარო შეხვედრების დროს განსახილველად გამოიტანოს ის საკითხები რომელთა მოგვარებაც ესაჭიროებათ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია პრობლემების დალაგება პრიორიტეტების მიხედვით. მაგალითად, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა რომელიმე თემში განსახორციელებელი პროექტებისთვის, ასეთ შემთხვევაში თვითმმართველობის წარმომადგენლებმა უნდა გამოიკვლიონ კონკრეტულ დასახლებაში რა პრობლემები აწუხებთ და იმ პრობლემებიდან უნდა მოხდეს პრიორიტეტის არჩევა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი იდეის თავს მოხვევა საზოგადოებისთვის. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჩნდება კითხვები და საზოგადოების უკმაყოფილება.

საზოგადოება ანგარიშგასაწევი პარტნიორია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საზოგადოების ჩართულობას მთელი რიგი უპირატესობები აქვს:

ადგილობრივმა მოსახლეობამ ყოველთვის მეტი იცის საკუთარი საჭიროებების შესახებ.

პროცესში მონაწილეობისას საზოგადოება პასიურად აღარ ელოდება მთავრობის ნაბიჯებს. ის თავად ააშკარავებს პრობლემებს და იწყებს მის გადაჭრას.

პროცესები უფრო ეფექტურად რეგულირდება.

გადაწყვეტილებას მხარს უჭერს საზოგადოება.

გვინდა მოსახლეობას მოვუწოდოთ, რაც უფრო აქტიურად ჩაერთვება თვითმმართველობის მუშაობის პროცესებში, შესაბამისად უფრო გამჭვირვალე იქნება ყველა საქმიანობა და ნაკლები პრეტენზია გვექნება შესრულებული თუ შეუსრულებელი სამუშაოების შესახებ და თავისთავად ხელისუფლებასაც მეტად ეცოდინება მოსახლეობის პრობლემები. მუნიციპალიტეტში დემოკრატიის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტადაა ჩართული მოსახლეობა საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში.

**დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

**მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.**

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

**ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი**

**გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში”**

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
*ირმა ჯაჭვლიანი*
ელ. ფოსტა:
*Irma_ushba@yahoo. com*